კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	**გამოყენებითი დიზაინი** (სპეციალიზაცია: 1) მოდის დიზაინი, 2) ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინი) **Applied design**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	ბაკალავრი დიზაინში Bachelor in Design
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	პროგრამის ხანგრძლივობა: 240 კრედიტი ძირითადი (major) პროგრამა - 180 კრედიტი (minor) პროგრამა/თავისუფალი კრედიტები - 60 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავების და განახლების თარიღი	აკრედიტირებულია აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (გადაწყვეტილება №33; 16.09.2011; აკრ. ვადა 30.12.2022) მოდიფიცირებულია, პროგრამა განხილული და დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (ოქმი #17. 15.07.2020)
პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები	მაია გრძელიძე - პროფესორი, აკადემიური დოქტორი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)	საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს: – სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელმაც წარმატებით ჩაბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები; – ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია: ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. – გარე და შიდა მობილობა.
პროგრამის მიზნები	პროგრამის მიზანია სპეციალისტთა მომზადება პირადი მოხმარების ნაკეთობათა (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ტყავსაგალანტერეო ნაწარმის და ტექსტილის) თანამედროვე მოდის შესაბამისი ნიმუშების დიზაინის შექმნისა და კონსტრუქტორულ–ტექნოლოგიური პროცესების წარმართვისათვის კვალიფიკაციით: დიზაინის ბაკალავრი. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტს მისცეს ცოდნა: – ისტორიულ–ტრადიციული მიმდინარეობების, თანამედროვე მოდური ტენდენციების, თეორიისა და პრაქტიკული მიღწევების შესაბამისი ტანსაცმლის,

	ფეხსაცმლის, ტყავსაგალანტერეო ნაკეთობათა და ტექსტილის მხატვრული და ტექნიკური მოდელირების შესახებ; – სამკერვალო და ტყავის ნაკეთობათა დამზადებისათვის გამოყენებული მასალების კლასიფიკაციისა და მახასიათებლების შესახებ; – ლაბორატორიულ და საწარმოო პირობებში ნაკეთობის დამზადების ტექნოლოგიური ნორმატივებისა და რეჟიმების შესახებ; – გამოყენებულ მანქანა–მოწყობილობებთან უსაფრთხოების წესების დაცვით მუშაობის, გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის უნარ–ჩვევების გამომუშავების შესახებ; – ინდივიდუალურ და მცირე საწარმოში ნაკეთობათა სამომხმარებლო ხარისხის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად დიზაინერულ–კონსტრუქტორულ–ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმალურად წარმართვის საფუძვლების შესახებ. პროგრამის მიზანია, კურსის დასრულების შემდეგ სპეციალისტმა შეძლოს წარმატებით იმუშაოს ტანსაცმლის, ტყავის ნაკეთობათა და ტექსტილის საწარმოებში და ფირმებში მოდელიორ–დიზაინერად ან კონსტრუქტორ–ტექნოლოგად – მაღალესთეტიკური, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, მაღალი სამომხმარებლო თვისებების მქონე, ადგილობრივ და საზღვარგარეთულ ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის შესაქმნელად. ასევე, შეუძლია სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში შესაბამისი ან მონათესავე მიმართულებით.
სწავლის შედეგები და კომპეტენციები (ზოგადი და დარგობრივი)	
სპეციალიზაციისათვის: მოდის დიზაინი	
ცოდნა და გაცნობიერება	– ახდენს ქართული მატერიალური კულტურის, ხელოვნებისა და თანამედროვე მსოფლიოს მხატვრული ღირებულებების შეფასებას; – აღწერს მხატვრული გემოვნებით, წარმოსახვითი აზროვნებისა და სახვითი ხელოვნების მრავალფეროვანი ხერხებით იდეის რეალიზების საკითხებს; – მსჯელობს სხვადასხვა დანიშნულების ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და ტექსტილის მოდური, პოპულარური ან საკუთარი ფანტაზიით ნაკეთობათა კომპოზიციის შექმნის პრინციპებზე; – ახდენს ნაკეთობის კონსტრუქტორულ–ტექნოლოგიური დაგეგმარების და კომპოზიციის მასალაში შესრულების პროცესს მასალათა პაკეტის შერჩევით, ნაწარმის კომფორტულობის ძირითადი პრინციპების, ზემოქმედი ფაქტორების გაცნობიერებით და ნორმატივების დაცვით.
უნარი	– სპეციალისტის წინაშე მდგარი შემოქმედებითი ამოცანის გადასაჭრელად და ესთეტიურად ღირებული ნიმუშების დასამზადებლად ახდენს მხატვრული გემოვნების, გამომსახველობითი ხერხებისა და საშუალებების გააზრებული გამოყენებით საკუთარი ან ჯგუფური იდეის რეალიზებას დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით შეძენილი ცოდნითა და უნარ–ჩვევებით; – ქმნის კომპოზიციას კონსტრუქტორული დამუშავების, ტექნიკურ–ეკონომიკური პარამეტრების (მასალების შერჩევა–დასაბუთება და ნორმირება, კონსტრუქციის მასალათტევადობა და შრომატევადობა) გათვალისწინებით, აანალიზებს და გეგმავს ტექნოლოგიური პროცესებს და ახდენს პრაქტიკაში განხორციელებას შესაბამისი წერილობითი ანგარიშის მომზადებით; – აანალიზებს, მსოფლიო მოდის ტენდენციებს, აფასებს კოლექციას ზოგად-ესთეტიკური, კრიტიკული მხატვრული მიდგომებით და პრაქტიკულ საქმიანობასთან კავშირში; – აანალიზებს მოძიებულ ინფორმაციას, მხატვრულ მოვლენათა შორის მიზეზ–შედეგობრივ კავშირებს, პროექტის მხატვრულ–ტექნოლოგიური რეალიზაციის პროცესში პოპულარულ ტენდენციებზე აქცენტირებისა და მომავალზე პროგნოზის აგების მიზნით; – აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს მიმდინარე საქმიანობის, პრაქტიკაში მათი მიზანმიმართული რეალიზაციისა და კარიერული წინსვლისათვის.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	– აფასებს მიღებულ ცოდნას და კომპეტენციებს, განათლების დონის ამაღლებისათვის სწავლის შემდეგომი გაგრძელების შესაძლებლობებს და საჭიროებებს, – ახორციელებს საქმიანობას ეთიკის ნორმების დაცვით, მომავალი პროფილის ფორმირებას და ცოდნის გაღრმავებას პრიორიტეტული მიმართულების განსაზღვრის პრინციპების დაცვით; – განსაზღვრავს პროფესიის როლს და ღირებულებებს საზოგადოების ესთეტიკური შეხედულებების, გემოვნების ჩამოყალიბებისა და მხატვრული იდეების მიმართ შემოქმედებითი მიდგომაში და მაღალი პასუხისმგებლობით უდგება პროფესიულ საქმიანობას; – აქტიურად მონაწილეობს დარგის მიღწევების პოპულარიზაციასა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაში ხელოვნებისა და კულტურული ნიმუშების მაღალ დონეზე წარმოჩენის თვალსაზრისით; – ეფექტურად თანამშრომლობს ახალგაზრდა თაობასთან ეროვნული კულტურული ღირებულებების პოპულარიზაციის და ესთეტიკური გემოვნების სწორად ფორმირების კუთხით.
სპეციალიზაციისათვის: ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინი	
ცოდნა და გაცნობიერება	– ასახელებს, ჩამოთვლის და აღწერს: საფეიქრო ნაწარმის სახეებს, ასორტიმენტს, ბოჭკოვან შემადგენლობასა და თვისებებს; გაცნობიერებული აქვს ტექსტილის მასალათმცოდნეობის, დამზადების ტექნოლოგიების, კვლევისა და ახალი მასალების შემუშავების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები; ტექსტილის თვისებებსა და მისი დამზადების ტექნოლოგიებზე მოქმედი ფაქტორები და ლაბორატორიულ პირობებში მათი განსაზღვრისა და მართვის ხერხები და მეთოდები; – ამოიცნობს და ასახელებს ფუნქციური დანიშნულების ინტერიერის სახეებს, მათ სტრუქტურულ ელემენტებს, მისი შექმნისათვის გამოყენებულ ძირითად და დამხმარე მასალებს, აღწერს სივრცის ორგანიზებისა და სტრუქტურის განაწილების პრინციპებსა და წესებს; – აღწერს და აფასებს ინტერიერის ფიტოდიზაინის შესაძლებლობებს, ივენთების მოწყობის თანამედროვე პრაქტიკასა და მეწარმეობის ზოგად თეორიულ და პრაქტიკულ საწყისებს.
უნარი	– ფერთა ჰარმონიული განაწილების, შუქ-ჩრდილების, სხვადასხვა სახის ორნამენტების გამოყენებით ქმნის ფერწერული და საფეიქრო ნახატების კომპოზიციებს, ინტერიერის ესკიზებს ხელით და კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით, ქმნის სხვადასხვა სტილისა და დანიშნულების ინტერიერის პროექტს; – დიზაინერული და ტექნოლოგიური ცოდნის შეჯერების საფუძველზე აკეთებს ორიგინალურ და დასაბუთებულ დასკვნას კონკრეტული პროექტისათვის ძირითადი პარამეტრების შერჩევისა და დამზადების ხერხების შესახებ; იღებს რაციონალურ გადაწყვეტილებას კონკრეტული ნაწარმის (თექა, ფარდაგი, ხალიჩა, ტრიკოტაჟი, ბატიკი) დასამზადებლად საჭირო ნედლეულის, მასალებისა და დამზადების ხერხის შერჩევისა და გამოყენების თაობაზე; – ახორციელებს ტექნოლოგიურ პროცესებს ლაბორატორიულ და საწარმოო პირობებში; ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობაზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრის, გაანალიზების, ერთმანეთთან შედარება-დაკავშირების ანალიზის საფუძველზე იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს; – ამზადებს პრეზენტაციას და დემონსტრირებას უკეთებს შემუშავებულ კონსტრუქციას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, იდეის დასაბუთებული რეალიზაციის, დამსაქმებლებთან კავშირის დამყარებისა და საკუთარი შესაძლებლობების პოპულარიზების მიზნით.
პასუხისმგებლობა და	– პროფესიულ-პრაქტიკული საქმიანობის პროცესს წარმართავს პასუხისმგებლობის,

ავტონომიურობა	დისციპლინისა და თვითორგანიზებულობის პრინციპებზე დაყრდნობით; საერთო მიზნებისა და ინტერესების განხორციელებისას აქტიურად მონაწილეობს გუნდურ მუშაობაში; – ესმის პრაქტიკული საქმიანობისას პირადი და თანამშრომლების შრომის პირობების დაცვისა და გარემოს ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობა; – ინფორმაციის დიფერენცირებისა და კრიტიკულად შეფასების საფუძველზე ობიექტურად აფასებს შეძენილ ცოდნას და დაუფლებული უნარების გამოყენების შესაძლებლობებს; ესმის პროფესიული ზრდისა და სრულყოფისათვის საკუთარი კვალიფიკაციის მუდმივად ამაღლების აუცილებლობა.
სწავლების მეთოდები	პროგრამის განხორციელება ეფუძნება თეორიული და სპეციალური პრაქტიკული ცოდნის სინთეზს, რისთვისაც გამოიყენება სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდები. პროგრამის განხორციელებისას აპრობირებული და დანერგილია სწავლების ისეთი ფორმების გამოყენება, როგორიცაა ლექცია, ლაბორატორიული, პრაქტიკული მუშაობა. ჯგუფში მუშაობის დროს გამოიყენება სწავლების მეთოდები: დისკუსია, კითხვა–პასუხის სესია, კვლევითი ჯგუფი, დებატი, ჯგუფური განხილვები და პრაქტიკული სიტუაციების გარჩევები, ჯგუფში მეცადინეობები ხელს უწყობს სტუდენტებში დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებას და კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. სალექციო მუშაობა მიმართულია სტუდენტების ცოდნის დონის ამაღლებისაკენ, რაც ითვალისწინებს ძირითადი საკითხების გადმოცემას. ლექციაზე გამოიყენება საპრეზენტაციო და სხვა თვალსაჩინო მასალა. კურსის გავლის პროცესში კურსის პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად სტუდენტს მოუხდება ისეთი აქტივობების განხორციელება, როგორიცაა სალექციო მასალისა და საშინაო დავალების მომზადება, ბიბლიოთეკაში მუშაობა, სარეიტინგო წერებისათვის მზადება, ანგარიშის მომზადება, პორტფოლიოს შესრულება, დამოუკიდებლად შესრულებული რეფერატის, სამუშაოს, პროექტის ან მოხსენების პრეზენტაცია, ასევე კონფერენციებში მონაწილეობისათვის მზადება. კონკრეტული კურსისათვის სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები აღწერილია კურსის პროგრამაში (სილაბუსში).
პროგრამის სტრუქტურა	პროგრამა **გამოყენებითი დიზაინი** შედგება ორი სპეციალიზაციისაგან: მოდის დიზაინი და ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინი. პროგრამის სტრუქტურა აგებულია პრინციპით, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული პროგრამების სწავლის შედეგებზე გასვლისათვის საჭირო დისციპლინებს, შესაბამისი მოცულობის კრედიტებით. კერძოდ: – პროგრამის საერთო კურსები – 45 კრედიტი; – სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი კურსები – 135 კრედიტი; – დამატებითი (minor) პროგრამა – 60 კრედიტი. პროგრამის მისანიჭებელი ხარისხია: ბაკალავრი დიზაინში (0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი); სასწავლო კურსების განაწილება სემესტრებისა და კრედიტების მიხედვით იხ. დანართი 1. სასწავლო გეგმა იხ. დანართი 2.
შეფასების წესი	კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასების სისტემა ითვალისწინებს: ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

	(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. <u>შეფასების ფორმებია</u> - შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას; შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) – 60 ქულა; დასკვნითი შეფასებისათვის გამოიყენება დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა. <u>მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და დაშვების წინაპირობებია:</u> • დასკვნით გამოცდაზე გასვლისათვის შუალედური შეფასებებისათვის განკუთვნილი 60 ქულიდან მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 18 ქულას. • დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 15 ქულას. სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.
დასაქმების სფეროები	კურსდამთავთებულები წარმატებით შეძლებენ პრაქტიკულად გამოიყენონ შეძენილი ცოდნა და მიღებული უნარ–ჩვევები მაპროფილებელი დარგის მსხვილ, საშუალო და ინდივიდუალურ საწარმოებში, კვლევით ცენტრებსა და მოდელების სახლებში ტექნოლოგებად,კონსტრუქტორებად და დიზაინერებად. სურვილის შემთხვევაში კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში შესაბამისი, ან მონათესავე დარგობრივი მიმართულებით.
აუცილებელი რესურსები და დამხმარე პირობები	1. შესაბამისი, მაღალი პროფესიული კვალიფიკაციისა და აკადემიური სტატუსის მქონე ადამიანური რესურსი; 2. უნივერსიტეტის სამეცნიერო–ტექნიკური ბიბლიოთეკის მუდმივად განახლებადი წიგნადი ფონდი; 3. უნივერსიტეტის პროფესორ–მასწავლებელთა მიერ შექმნილი სახელმძღვანელოები და მეთოდური მასალები; 4. სპეციალიზებული სახელოვნებო და საინჟინრო–ტექნოლოგიური მიმართულების კაბინეტ–ლაბორატორიები; 5. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრები; 6. მულტიმედიური სწავლების თანამედროვე მეთოდების შესაბამისი ტექნიკით გაწყობილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების აუდიტორიები; 7. პროფესიული ინტერნეტ–საიტების გაცნობის, მიმოხილვის და ანალიზის შესაძლებლობა ყველა დაინტერესებული სტუდენტისათვის.

სასწავლო კურსების განაწილება სემესტრებისა და კრედიტების მიხედვით
სპეციალიზაციისათვის: მოდის დიზაინი

სემესტრი	ზოგადი სავალდებულო სასწავლო კურსები	ზოგადი არჩევითი სასწავლო კურსები	სპეციალიზაციის სავალდებულო სასწავლო კურსები	სპეციალიზაციის არჩევითი და თავისუფალი სასწავლო კურსები	minor
I	27	3	-	–	–
II	5	5	20	–	–
III	5	-	15	-	10
IV	-	-	20	–	10
V	–	-	15	5	10
VI	–	-	20	–	10
VII	–	-	15	5	10
VIII	–	-	20	-	10

სასწავლო კურსების განაწილება სემესტრებისა და კრედიტების მიხედვით
სპეციალიზაციისათვის: ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინი

სემესტრი	ზოგადი სავალდებულო სასწავლო კურსები	ზოგადი არჩევითი სასწავლო კურსები	სპეციალიზაციის სავალდებულო სასწავლო კურსები	სპეციალიზაციის არჩევითი და თავისუფალი სასწავლო კურსები	minor
I	27	3	-	–	–
II	5	5	20	–	–
III	5	-	15	-	10
IV	-	-	20	–	10
V	–	-	20	-	10
VI	–	-	20	–	10
VII	–	-	20	-	10
VIII	–	-	20	-	10

სასწავლო გეგმა
პროგრამის დასახელება: გამოყენებითი დიზაინი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: **ბაკალავრი დიზაინში**
დეტალური სფერო: **0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი**
პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი მაია გრძელიძე

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლაბ/ჯგ	სემესტრი								დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				აუდიტორული	დასკვნითი გამოცდებ											
1	**თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები**															
I.1	უცხო ენა (A1.2; B1.1.; B1.2.)	5	125	60	3	62	0/60/0	5								
I.2	უცხო ენა (B1.1.; B1.2; C1.1)	5	125	60	3	62	0/60/0		5							1.1
I.3	უცხო ენა (B1.2; C1.1)	5	125	60	3	62	0/60/0			5						1.2
I.4	აკადემიური წერა	3	75	30	3	42	0/30/0	3								
I.5	ბიზნესის საფუძვლები	5	125	45	3	77	15/30/0	5								
1.6	გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება	5	125	45	3	77	15/30/0	5								
1.7	ხელოვნებისა და კულტურის ისტორია	5	125	45	3	77	15/30/0	5								
1.8	გრაფიკა	4	100	45	3	52	0/45/0	4								
	სულ	**37**	**925**	**390**	**24**	**511**		**27**	**5**	**5**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	
2	**თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები**															
2.1	კომპიუტერული საოფისე პროგრამები	3	75	30	3	42	0/30/0	3								
	საინფორმაციული ტექნოლოგიები არქიტექტონიკაში	3	75	30	3	42	0/30/0	3								
	კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები	3	75	30	3	42	0/30/0	3								
2.2	საინჟინრო გრაფიკა	5	125	45	3	77	0/45/0		5							
	ტექნიკური ხატვა ტყავისა და სამკერვალო ნაკეთობათა დაგეგმარებაში	5	125	45	3	77	0/45/0		5							

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლაბ/ჯგ	სემესტრი								დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				აუდიტორული	დასკვნითი გამოცდებ											
	ტექნიკური ხატვა-ესკიზები და ჩანახატები	5	125	45	3	77	0/45/0		5							
	სულ	**8**	**200**	**75**	**6**	**119**		**3**	**5**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	
3	**ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები სპეციალიზაცია: მოდის დიზაინი**															
3.1	ფეხსაცმლის და ტყავსაგალანტერეო ნაკეთობათა კონსტრუქციის განვითარების ისტორია	5	125	45	3	77	15/30/0		5							
3.2	ტანსაცმლის კონსტრუქციის განვითარების ისტორია	5	125	45	3	77	15/30/0			5						
3.3	ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის კომპიუტერული დაგეგმარება	5	125	45	3	77	0/0/45		5							
3.4	ფერწერა	5	125	45	3	77	0/45/0		5							
3.5	ფორმაწარმოქმნის საფუძვლები	5	125	45	3	77	0/45/0		5							
3.6	გამოყენებითი ანთროპოლოგია-1	5	125	45	3	77	15/0/30			5						
3.7	სპეკომპოზიცია –1	5	125	45	3	77	0/45/0			5						
3.8	გამოყენებითი ანთროპოლოგია-2	5	125	45	3	77	15/0/30				5					
3.9	სპეკომპოზიცია –2	5	125	45	3	77	0/45/0				5					3.7
3.10	ფეხსაცმლის და ტყავსაგალანტერეო ნაკეთობათა მასალათმცოდნეობა	5	125	45	3	77	15/0/30				5					
3.11	სასწავლო პრაქტიკა	5	125	100	3	22	0/100/0				5					
3.12	ტანსაცმლის მასალათმცოდნეობა	5	125	45	3	77	15/0/30					5				
3.13	ტანსაცმლის ტექნიკური მოდელირების საფუძვლები	5	125	45	3	77	15/0/30					5				
3.14	სპეკომპოზიცია –3	5	125	45	3	77	0/45/0					5				3.9
3.15	ფეხსაცმლის და ტყავსაგალანტერეო ნაკეთობათა ტექნიკური მოდელირების საფუძვლები	5	125	45	3	77	15/0/30						5			
3.16	ტანსაცმლის ტექნოლოგიის საფუძვლები	5	125	45	3	77	15/0/30						5			
3.17	საწარმოო პრაქტიკა	5	125	100	3	22	0/100/0						5			

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლაბ/ჯგ	სემესტრი								დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				აუდიტორული	დასკვნითი გამოცდებ											
3.18	ფეხსაცმლის და ტყავსაგალანტერეო ნაკეთობათა ტექნოლოგიის საფუძვლები	5	125	60	3	62	15/0/45						5			
3.19	ფეხსაცმლის და ტყავსაგალანტერეო ნაკეთობათა კონსტრუირება	5	125	60	3	62	15/0/45							5		3.15
3.20	ტანსაცმლის კონსტრუირება	5	125	60	3	62	15/0/45							5		3.13
3.21	ტანსაცმლის ტექნოლოგია	5	125	60	3	62	15/0/45							5		3.16
3.22	ფეხსაცმლის და ტყავსაგალანტერეო ნაკეთობათა ტექნოლოგია	5	125	45	3	77	15/0/30								5	3.18
3.23	ფეხსაცმლის კომპოზიციის შესრულება მასალაში	5	125	45	3	77	0/0/45								5	3.19
3.24	ტანსაცმლის კომპოზიციის შესრულება მასალაში	5	125	45	3	77	0/0/45								5	3.20, 3.21
3.25	საავტორო კოლექციის დაგეგმარება	5	125	45	3	77	0/45/0								5	3.14, 3.19, 3.20
	სულ	**125**	**3125**	**1295**	**75**	**1755**		**0**	**20**	**15**	**20**	**15**	**20**	**15**	**20**	
4	**ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები**															
4.1	პლასტიკური ანატომია	5	125	45	3	77	15/0/30					5				
	ქართული ხელოვნების ისტორია	5	125	45	3	77	15/30/0					5				
	სპეცნახატი	5	125	45	3	77	15/0/30					5				
	ტრიკოტაჟლი ნაწარმის დიზაინი	5	125	45	3	77	15/0/30					5				
	თავისუფალი კრედიტი	5	125	45	3	77						5				
	სამოქალაქო საზოგადოების როლი	5	125	45	3	77	30/15/0					5				
4.2	ფეხსაცმლის და ტყავსაგალანტერეო საწარმოთა ტექნოლოგიური პროცესების დაგეგმარება	5	125	45	3	77	15/0/30							5		
	ტანსაცმლის საწარმოთა ტექნოლოგიური პროცესების დაგეგმარება	5	125	45	3	77	15/0/30							5		
	ტანსაცმლის საწარმოთა ტექნოლოგიური პროცესების დაგეგმარება	5	125	45	3	77	15/0/30							5		
	სპეკომპოზიცია –4	5	125	45	3	77	0/45/0							5		3.14

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლაბ/ჯგ	სემესტრი								დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				აუდიტორული	დასკვნითი გამოცდებ											
	ფოტოდიზაინი	5	125	45	3	77	0/0/45							5		
სულ არჩევითი		**10**	**1375**	**495**	**33**	**847**		**0**	**0**	**0**	**0**	**5**	**0**	**5**	**0**	
სულ: მოდის დიზაინი		**180**	**5625**	**2255**	**138**	**3232**		**30**	**30**	**20**	**20**	**20**	**20**	**20**	**20**	

	სპეციალიზაცია: ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინი															
3.1	ტექსტილის მასალათმცოდნეობა	5	125	45	3	77	15/0/30/0		5							
3.2	ფერწერა და ხატვა	5	125	45	3	77	0/0/0/45		5							
3.3	ინტერიერის დიზაინის გრაფიკული პროგრამები	5	125	45	3	77	15/0/30/0		5							
3.4	ფერი და ინტერიერი	5	125	45	3	77	15/0/30/0		5							
3.5	დეკორატიული ნართისა და ძაფის წარმოების ტექნოლოგიის საფუძვლები	4	100	37	3	60	30/0/15/0			4						3.1
3.6	დეკორატიული ქსოვის ტექნოლოგიის საფუძვლები	4	100	37	3	60	30/0/15/0			4						3.1
3.7	საფეიქრო სპეციალური ნახატის კომპოზიცია	5	125	45	3	77	0/0/0/45			4						3.2
3.8	ინტერიერის დიზაინის საწყისები	2	50	22	3	25	0/0/30/0			3						2.3
3.9	მოცულობით-სივრცითი კომპოზიცია	5	125	45	3	77	15/0/30/0				5					2.3
3.10	დეკორატიული თექის წარმოების საფუძვლები	5	125	45	3	77	0/0/0/45				5					3.7
3.11	ფუნქციური დანიშნულების ინტერიერის დიზაინი	5	125	45	3	77	0/0/45/0				5					3.4; 3.8; 3.9
3.12	ფარდაგის, ხალიჩისა და გობელენის წარმოებისა და დიზაინის საფუძვლები	5	125	45	3	77	0/0/0/45				5					3.7
3.13	სტილის შერჩევის საფუძვლები	5	125	45	3	77	0/0/0/45					5				
3.14	მხატვრული ტრიკოტაჟის წარმოების საფუძვლები	5	125	45	3	77	15/0/30/0					5				3.1
3.15	ტექსტილის კოლორირების ტექნოლოგია	5	125	45	3	77	15/0/30/0					5				3.1
3.16	ბატიკის წარმოების საფუძვლები	5	125	45	3	77	0/0/0/45					5				3.7
3.17	ფუნქციური ტექსტილის დიზაინი	5	125	45	3	77	15/0/30/0						5			3.1
3.18	უქსოვადი ხალიჩების წარმოების ტექნოლოგიის საფუძვლები	5	125	45	3	77	15/0/0/30						5			3.1
3.19	სპეციალური ტექსტილის ტექნოლოგიები	5	125	45	3	77	15/0/30/0						5			3.1
3.20	ინტერიერის ტექსტილის ეთნოდიზაინი	5	125	45	3	77	15/0/0/30						5			3.1
3.21	საკურსო სამუშაო ინტერიერის დიზაინში	5	125	45	3	77	0/0/45/0							5		3.11; 3.13
3.22	ინტერიერის ფიტოდიზაინი	5	125	45	3	77	15/30/0/0							5		
3.23	პრაქტიკა	5	125	100	3	22	0/0/0/100							5		
3.24	ტრიკოტაჟული ორნამენტის დიზაინი	5	125	45	3	77	15/0/30/0							5		
3.25	სამეწარმეო საქმიანობა	5	125	45	3	77	15/0/0/30								5	

3.26	ივენთების დიზაინი	5	125	45	3	77	0/0/45/0								5	
3.27	საავტორო ნაშრომი	10	250	90	3	157	0/90/0/0								10	3.10; 3.14; 3.16; 3.21
	სულ	**135**	**3375**	**1276**	**81**	**2018**		**0**	**20**	**15**	**20**	**20**	**20**	**20**	**20**	
სულ: ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინი		**180**	**4500**	**1741**	**111**	**2648**		**30**	**30**	**20**	**20**	**20**	**20**	**20**	**20**	